საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/55

ქ.თბილისი

"16" ივნისი 2017 წ.

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 17 იანვრის N6/3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მატერიალურ ფასეულობებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრისა და ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 17 იანვრის N6/3 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ნ. დევდარიანი), განახორციელოს ფაქტიური ინვენტარიზაციის შედეგების შედარება საბუღალტრო მონაცემებთან 2017 წლის 30 დეკემბრამდე."

ბ) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. კომისიის მიერ ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგების გაფორმება მოხდეს 2018 წლის 6 იანვრამდე.".

2. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6) ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე — კახი ბექაური